საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორის ბრძანება

N 109/01-01
30.04.2024

109-01-01-4-202404301642

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2023 წლის 20 ივლისის N163/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56–ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებისა და მე-9 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2023 წლის 20 ივლისის N163/01-01 ბრძანების 1.1 პუნქტის „გ.გ“, „გ.დ“ და „გ.ე“ ქვეპუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.გ) სააუდიტორიო მეცადინეობები - **4 მარტი - 22 ივნისი**;
გ.დ) საგამოცდო პერიოდი - 24 **ივნისი - 20 ივლისი** (დასკვნითი გამოცდები), **26 ივლისი - 1 აგვისტო** (დამატებითი გამოცდები);
გ.ე) არდადეგები - **7-11 მაისი**, **2 აგვისტო - 22 სექტემბერი**.

2.შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2023 წლის 20 ივლისის N163/01-01 ბრძანების 1.2 პუნქტის „გ.გ“, „გ.დ“ და „გ.ე“ ქვეპუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ.გ) სააუდიტორიო მეცადინეობები - **4 მარტი - 22 ივნისი;**
გ.დ) საგამოცდო პერიოდი - **24 ივნისი - 18 ივლისი** (დასკვნითი გამოცდები), **24 – 30 ივლისი** (დამატებითი გამოცდები);
გ.ე) არდადეგები - **7-11 მაისი, 31 ივლისი - 29 სექტემბერი**.

3.ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
4.დაევალოს კანცელარიას, ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ჯაბა სამუშია



რექტორი